

საქართველოში შრომის კანონმდებლობის დაცვის გაძლიერების საქმეში დასაქმებულთა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის პროექტის შუალედური შეფასება




Sistemas, Familia y Sociedad Ltd. (SFS) (სისტემები, ოჯახი და საზოგადოება, შპს)

მიზანი

პროექტმა ხელი შეუწყო დასაქმებულთა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიან თანამშრომლობას მთავრობასთან და დამსაქმებლებთან შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

- 1** თბილისი (მრავალ-სექტორიანი*)
- 2** იმერეთი **3** ქვემო ქართლი (მეტალურგია და წიაღისეულის მოპოვება)
- 4** სამეგრელო **5** შიდა ქართლი
- 6** მცხეთა-მთიანეთი (სოფლის მეურნეობა)
- 7** აჭარა (მშენებლობა)
- 8** სამცხე-ჯავახეთი (მინერალური წყლების წარმოება)
- 9** კახეთი (ქვანახშირი, ნავთობი და გაზი)



საქმიანობის პერიოდი
2019 წლის იანვარი - 2022 წლის ივლისი

დაფინანსება
1,994,173 აშშ დოლარი

პროექტი განაზოგავდა
საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკული ცენტრი (SC)

- პარტნიორები**
- საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია (GTUC)
 - საერთაშორისო კერძო მწარმოებლების ცენტრი (CIPE)
 - ეკონომიკური პოლიტიკის დაცვის კოალიცია (EPAC)

გრანტის ნომერი
IL-32531-18-75 K (FY18)

* მშენებლობა; მეთალურგია და წიაღისეულის მოპოვება; ქიმიური მრეწველობა; სატრანსპორტო საშუალებები (მინი-ავტობუსები, მეტროს მომსახურების და ავიაციის ჩათვლით), რკინიგზა, დასუფთავების მუნიციპალური სამსახურები, წყლით და ელექტროენერგიით მომარაგება, ჯანმრთელობის სამსახურები, ზღვასწოება, კომუნიკაციები, სამედიცინო სამონელი.

ძირითადი შედეგები

თანმიმდევრულობა	ეფექტიანობა	პროდუქტიულობა
საერთაშორისო შრომის სოლიდარობის ამერიკული ცენტრი SC და საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია GTUC ერთობლივად მუშაობდნენ USG პროექტებზე საქართველოში რადგან ეს პროექტები ზედმინდენით იყო მიმართული შრომის კანონმდებლობის რეფორმების აღსრულების გაუმჯობესებაზე.	პროექტის დანერგვა და მისი მიზნების მიღწევა, - განსაკუთრებით LTO3 და LTO4 - დაყოვნდა. საჩივრების განხილვის სისტემა (LTO3) მუშაობდა, თუმცა ადვოკატებს გარკვეული სიძნელეები ჰქონდათ ამ სისტემის განახლების საქმეში. ინდიკატორებს აკლდა მიზნები და საჩივრების მონაცემების დოკუმენტაცია შეზღუდული იყო. ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებები (LTO4) გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით, და მოიცავდა ფართო სპექტრს, იყენებდა სხვადასხვა პლატფორმებს. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ორ- და სამ-მხრივი საქმიანობა იყო დასრულებული შეფასების ჩატარების დროისათვის.	პროექტმა გააუმჯობესა თავისი საქმიანობის მონიტორინგის სისტემა, რათა უფრო გამოსადეგი გაეხადა თრეინინგში ჩართულობის თვით-აღრიცხვის მონაცემები, და მოცემულ დროს თრეინინგის გამოკითხვების განხორციელების პროცესშია. მაგრამ პროექტმა ვერ გამოიყენა ინფორმირებულობის ამაღლების საქმიანობის მონაცემების გაანალიზების შესაძლებლობა.

“ზოგიერთი გარემოების პირობებში, ერთი ან რამდენიმე პირის მიერ შემოტანილმა საჩივარმა შესაძლებელი გამოიწვიოს ცვლილებები სამუშაო ადგილში, რაც ყველასთვის სიკეთისმომტანი იქნება. ამ პროექტამდე ხალხი ერიდებოდა რამის თქმას, სამსახურის დაკარგვის შიშით.”


საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციის (GTUC) ადვოკატი

საერთო ზეგავლენა

- უფრო ხანგრძლივი შედეგები (რაც შეეხება მნიშვნელოვან ცვლილებებს) ჯერ არ არის დოკუმენტირებული.
- საქმიანობის მონაცემები, დღევანდლამდე, ზომავს ინტერვენციის/რეფორმების ეფექტიანობას (რაც შეეხება სამუშაო ადგილის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის (OSH) კანონს და შრომის კოდექსს), და არა შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგებს და გრძელვადიან ეფექტიანობას საქართველოში.

მდგრადობა

- რესურსები შეზღუდულია (ფინანსური და ადამიანური)მშრომელთა მაღალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის და რჩევა-დარიგების მიწოდების, და იურიდიული დახმარების სფეროებში.
- დასაქმებულებს და დამეჩრავებლებს შორის სამხრევი სოციალური ურთიერთობის არსებობის შესაძლებლობას, ალბათ ხელს უშლის ხანგრძლივი უნდობლობის პროცესი ამ მხარეებს შორის.



ფოტოსურათის ავტორია მარტინა ნიკოლსი



✓ გრძელვადიანი შედეგები (LTO) და შეფასებები

გრძელვადიანი შედეგები (LTO) #1

სამოქალაქო საზოგადოება/დასაქმებული პირები ზუსტად ასახელებენ სამუშაო ადგილებზე შრომის კანონმდებლობის პოტენციურ დარღვევებს.

	დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
მიღწევები	●	●	○	●
მდგრადობა	●	●	○	●

გრძელვადიანი შედეგები (LTO) #3

სამოქალაქო საზოგადოების წევრები / დასაქმებული პირები ეფექტიანად ადევნებენ თვალყურს თავიანთი საჩივრების განხილვის პროცესს.

	დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
მიღწევები	●	○	●	●
მდგრადობა	●	○	●	●

გრძელვადიანი შედეგები (LTO) #2

სამოქალაქო საზოგადოების წევრებს / დასაქმებულ პირებს შემოაქვთ კარგად დასაბუთებული, კარგად ჩამოყალიბებული, სამართლებრივად გამართული საჩივრები გამოკვლევის და სასამართლო საქმის გახსნის მიზნით.

	დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
მიღწევები	●	●	○	●
მდგრადობა	●	●	○	●

გრძელვადიანი შედეგები (LTO) #4

სამოქალაქო საზოგადოების წევრები / დასაქმებული პირები ჩართულები არიან საქართველოს მთავრობასთან (GOG) და დამქირავებლებთან თანამშრომლობაში შრომის კანონმდებლობის პოტენციური დარღვევების აღმოსაფხვრელად.

	დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
მიღწევები	●	○	●	●
მდგრადობა	○	●	●	●

რეაგირება კოვიდ-19-ზე

კოვიდ-19-ის გამო საქართველოში ყველაფერი დაკეტილი იყო ორი პერიოდის განმავლობაში (2020 წლის მარტიდან ივლისამდე, და 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის თებერვლამდე), ამის შემდეგ სხვადასხვაგვარი შეზღუდვები იყო შემოღებული. SC ოფისები დახურული იყო, თანამშრომლები სახლებიდან მუშაობდნენ, და პირისპირ საქმიანობა და ღონისძიებები, როგორცაა კამპანიები, მრგვალი მაგიდის მსჯელობები, სათრეინინგო საქმიანობა, - მოდიფიცირებული, შემოკლებული ანდა გაუქმებული იყო. პანდემიის მიზეზით შეკრებების და თრეინინგების შეზღუდვების გამო, პროექტის შესაძლებლობებში ჩაერთო დამსაქმებლები და საქართველოს მთავრობა შრომის კანონმდებლობის დარღვევების კვლევაში საგრძნობლად შემცირებული იყო. LTO #4-ს მიღწევა განსაკუთრებით დაზარალდა პანდემიის გამო.

იმედისმომცემი პრაქტიკა

- პროექტმა მოიწვია და დაასაქმა სპეციალიზირებული იურისტები საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციაში (GTUC), რომლებმაც GTUC ადვოკატებს გაუწიეს ტექნიკური დახმარება, პრაქტიკული მხარდაჭერა, და მენტორობა.
- პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ორმხრივი მრგვალი მაგიდის მსჯელობა დასაქმებულებს და დამქირავებლებს შორის (მომსახურების სექტორი და მშენებლობის სექტორი); შეიკრიბა ხალხი რათა ემსჯელათ საჭიროებებზე, პრიორიტეტებზე, და არსებულ მთავარ პრობლემებზე.- ეს მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იყო სამხრეთი სოციალური დიალოგის პროცესისათვის.
- პროექტის თრეინინგი დარღვევების გამოვლენის და საფუძვლიანი სამხილის შემცველი საჩივრის შეტანაზე წარმოადგენდა უნიკალურ სასწავლო გამოცდილებას მშრომელებისთვის და პროფკავშირებისთვის.

ნასწავლი გაკვეთილი

- შრომის კანონმდებლობის მიღებამ და კორონავირუსის პანდემიამ გამოავლინა მაღალი მოთხოვნები შრომის დაცვის სამართლებრივ ინფორმაციაზე. პანდემიამ გამოიწვია სამუშაოდან დათხოვნის დიდი რაოდენობა და სამუშაო საათების და ხელფასების შემცირების შემთხვევების ზრდა.
- პროფკავშირებში გაერთიანებულმა მშრომელებმა რეგიონებში მაღალი რისკის სექტორებში ირჩიეს ბუკლეტები, ხოლო პროფკავშირებში გაერთიანებულმა ურბანულ რეგიონებში დასაქმებულებმა დაბალი რისკის სექტორებში ამჯობინეს ინფორმაციის მიღება სატელეფონო ცხელი ხაზით.
- რაკი დასაქმებულთა გათვითცნობიერება შრომის კანონის დაცვაში გაიზარდა, ასევე გაიზარდა პროფესიული უსაფრთხოების და ჯანმრთელობის (OSH) სპეციალისტების და ადვოკატების მომსახურებაზე მოთხოვნები, რამაც გამოიწვია მონაცემთა ბაზის სისტემატიურ განახლებისთვის და საჩივრების განხილვის თვალყურის დევნებისთვის დათმობილი დროის შემცირება.
- სექტორების შესაბამისი საჭიროებების შეფასება, რომელიც დანერგვის დასაწყისში განხორციელდა, უფრო სასარგებლო იქნებოდა თითოეულ სექტორში დასაქმებულთა საჭიროებების გამოსავლენად.

“არავის მოუგონია იმაზე უფრო კონსტრუქციული და ეფექტიანი საშუალება, ვიდრე დიალოგი. ეს არის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება, სადაც შესაძლებელია პრობლემების გამოვლენა, სადაც მხარეები უსმენენ ერთმანეთს, და არა ბრალს სდებენ ერთმანეთს. სხვანაირად არაფრის მოგვარება არ მოხერხდება... რადგან 99% იმ პრობლემებისა, რომლებიც დასაქმებულებს გააჩნიათ დღეს, საფუძველს იღებს კომუნიკაციის არარსებობაში, და კომუნიკაციის არასწორ არხებში. ჩვენ მოგვწონს დიალოგი, რადგან იკრიბებიან მხარეები, რომლებიც მზად არიან ცვლილებებისათვის, მზად არიან მოუსმინონ ერთმანეთს, - და არა თავდაცვის პოზიციაში დადგნენ, - და ამგვარად ერთობლივად იმუშაონ პრობლემების სწორად გადასაწყვეტად.

- დამქირავებელი

რეკომენდაციები	აშშ შრომის დეპარტამენტი	სოლიდარობის ცენტრი
<p>1 იურიდიული მხარდაჭერა: მომავალ პროექტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა მშრომელთა ორგანიზაციებში იურისტების კადრების სამსახურში აყვანა და მათთვის თრენინგების ჩატარება, - პროფკავშირების რეგიონალური ცენტრების ჩათვლით, - მორგებული უნდა იყოს იურიდიული დახმარების მომსახურების მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.</p>	<p>✓ აშშ შრომის დეპარტამენტი</p>	
<p>2 GESI -ს (სქესთა თანასწორობა და სოციალური ჩართულობა) სტრატეგია ახლანდელ და სამომავლო პროექტებში: პროექტები აუცილებლად უნდა შეიცავდნენ სქესთა თანასწორობის და სოციალური ჩართულობის სტრატეგიას, ჩამოყალიბებული მიზნებით, შედეგებით, და სისტემატიური ანგარიშშეგებლობით.</p>	<p>✓ აშშ შრომის დეპარტამენტი</p>	<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>3 საჭიროებების შეფასება ახლანდელ და სამომავლო პროექტებში: უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნები პროექტებისთვის, რათა წარმოდგენილი იყოს წერილობითი ფორმალური საჭიროებების შეფასება სექტორების დონეზე, და ასევე (თუ საჭიროება მოითხოვს) დამფინანსებელთა/ინსტიტუციურ დონეზე, პროექტებში ჩართვის ინფორმაციისთვის. გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის და მათი პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის თრენინგების შექმნა და განხორციელება სექტორების და დარგობრივი მშრომელების საჭიროებების დასადგენად და შესავსებლად.</p>	<p>✓ აშშ შრომის დეპარტამენტი</p>	<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>4 სამხრეთი დიალოგის მდგრადი მექანიზმი: გაგრძელდეს მშრომელთა და დამქირავებელთა შორის ბილატერალური სოციალური დიალოგი (მგვალი მაგიდის მსჯელობები) საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე გავლენის მოსახდენად. ჩატარდეს მეტი მსჯელობები მრგვალი მაგიდის გარშემო მთავრობას და დამქირავებლებს, და პროფკავშირებს და დამქირავებლებს შორის. განხილული იქნას ხელშეწყობა სამ-მხარეანი საბჭოს შესაქმნელად მსჯელობების ჩასატარებლად საკუთრების და მდგრადობის თაობაზე.</p>		<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>5 კომუნიკაციები ქვეყნის შუცვლის თაობაზე: ახლანდელი და სამომავლო პროექტებისათვის განხილული იყოს კომუნიკაციები ქვეყნის ცვლილებების სტრატეგიაზე მენთალიტეტის შეცვლის მიზნით, განსაკუთრებით მედიაციის და სამხრეთი სოციალური დიალოგის თაობაზე.</p>		<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>6 საჩივრების თვალყურის დევნების სისტემა: საჩივრების თვალყურისდევნების სისტემა უნდა გაუმჯობესდეს; მონაცემები სისტემატიურად უნდა იყოს შეტანილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახევარწლიური მონაცემების ანალიზი და შედეგების ანგარიშის მიწოდება დონორებისთვის, მთავრობისთვის და საზოგადოებისთვის.</p>		<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>7 პროექტის საქმიანობის მონიტორინგის სისტემა: პროექტის საქმიანობის მონიტორინგის სისტემა უნდა გაუმჯობესდეს, რათა ეფექტურად დაფიქსირდეს მონაცემები ანალიზისათვის და ანგარიშშეგებლობისათვის. დაისახოს მიღწევადი მიზნები, დაიშალოს მონაცემები (მაგ. სქესის, უნარშეზღუდულობის, არასაკმარისი მომსახურების მქონე ჯგუფების შესაბამისად). გაკეთდეს სოციალური მედიის და კომუნიკაციების სტრატეგიის ანალიზი, ნათლად გამოიკვეთოს ანგარიშშეგებლობა, რომლის მიზანიც 17000 დასაქმებულისთვის ინფორმაციის მიწოდება იქნება. პრიორიტეტი მიენიჭოს და ყურადღება დაეთმოს მომსახურებას სამიზნე მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც არასაკმარისი მომსახურება აქვთ.</p>	<p>✓ აშშ შრომის დეპარტამენტი</p>	<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>
<p>8 ჩანაცვლებადი რესურსები: გაუმჯობესდეს საქართველოს პროფკავშირების კოალიციის და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები რესურსების ჩანაცვლებისათვის, ან ჩამოყალიბდეს ხარჯების აღდგენის მექანიზმი მომსახურების სფეროების გასაფართოებლად, - განსაკუთრების ისტორიულად მომსახურებით ნაკლებად უზრუნველყოფილ ჯგუფებში, როგორცაა მაგალითად არაფორმალურ სექტორში მომუშავე პირები.</p>		<p>✓ სოლიდარობის ცენტრი</p>



ფოტოსურათი მოწოდებულია სოლიდარობის ცენტრის მიერ



ფოტო მოწოდებულია K_samurkas -ს მიერ

წინამდებარე შეფასების დაფინანსება უზრუნველყო აშშ შრომის დეპარტამენტმა, კონტრაქტის ნომერი 47QRAA20D0045. დავალების ბრძანება 1605C1-21-F-00030 - სისტემები, ოჯახი და საზოგადოება, შპს (Sistemas, Familia y Sociedad Ltd. [SFS]). წინამდებარე მასალები არ ასახავს აშშ შრომის დეპარტამენტის პოლიტიკას და შეხედულებებს; ასევე, ბრუნდების, კომერციული პროდუქტების, ან ორგანიზაციების დასახელება არ ნიშნავს აშშ მთავრობის მიერ დადასტურებას.